საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

## საკონკურსო თემატიკა:

## ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის

# განათლებული და ინფორმირებული ქალი აღზრდის განათლებულ და ინფორმირებულ თაობას

## ქალთა ორგანიზაცია-კავშირი „პაროს“

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25 სექტემბერი-25 ნოემბერი 2019

## პროექტის მიზანი:

სამოქალაქო და საარჩევნო განათლების დონის ამაღლების უზრუნველყოფა

## პროექტის განხორციელების არეალი:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (ასპინძის და ადიგენის მუნიციპალიტეტები)

**სამიზნე ჯგუფი:**

ასპინძის და ადიგენის მუიციპალიტეტების ქალები, მათ შორის ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები

**სულ მინაწილთა რაოდენობა:**

50 ქალი ასპინძის მუნიციპალიტეტიდან და 43 ქალი ადიგენის მუნიციპალიტეტიდან

# პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა:

1) საინფორმაციო შეხვედრები ბენეფიციარებთან (თითო მუნიციპალიტეტში):







2) ბენეფიციარების შეხვედრა მერებთან (თითო მუნიციპალიტეტში):






2) ტრენინგი ბენეფიციარებისთვის (2 ჯგუფი თითო მუნიციპალიტეტში):














3) საინფორმაციო შეხვედრები სოფლებში (თითო მუნიციპალიტეტში):








# პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები):

გათვალისწინებული პროექტითა და საარჩევნო ადმინისტრაციის მხარდაჭერით ოთხდღიანი ტრენინგების შედეგად, 50-მა ასპინძელმა და 43-მა ადიგენელმა ქალბატონმა აიმაღლა ცოდნა შემდეგ საკითხებში: სამოქალაქო განათლება, საარჩევნო განათლება და კულტურა, გენდერული თანასწორობა და სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკა.

მიღებული ცოდნისა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრების წყალობით, ქალბატონებმა გააცნობიერეს, თუ რაოდენ  მნიშვნელოვანია მათთვის სამოქალაქო განათლება და სოციალური როლი, როგორც საზოგადოებისთვის, ასევე მთელი სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობასა და განვითარებისათვის.

ქალბატონებმა გააცნობიერეს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის დიდი მნიშვნელობა, გააცნობიერეს არჩევნების მიზანი, არჩევნებში  გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობა.

# პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები):

- სოფლებში ორგანიზებული ინფორმაციული შეხვედრების (ასპინძის მუნიციპალიტეტში 7, ადიგენის 5) წყალობით, ქალბატონებმა განიმტკიცეს ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და გაიუმჯობესეს უნარ-ჩვევები შეხვედრების ორგანიზებაში, თავიანთი თემის წევრების დარწმუნებაში მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.
  ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტრენინგებზე დამსწრე ქალბატონების დიდმა ინტერესმა და აქტიურობამ გაზარდა არჩევნებში მონაწილეობის მოტივაცია.

## გამოწვევები და გადაჭრის გზები:

ადიგენში, მეორე ჯგუფის ტრენინგის თარიღები (22–25 ნოემბერი) დაემთხვა გიორგობის დღესასწაულს (23 ნოემბერი) რის გამოც გართულდა ტრენინგებში ქალბატონების მონაწილეობის უზრუნველყოფა (წინა სადღესასწაულო სამზადისი და სტუმრები დღესასწაულზე).

## პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები:

ასპინძს მუნიციპალიტეტის მერი დაგვეხმარა და შემოგვთავაზა სივრცე (ქალთა ოთახი) ბენეფიციარებთან შეხვედრებისთვის.

მადლობთ ყურადღებისთვის!